საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ბურჯანაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	1	5
ქულათა ჯამი	77	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

თამარ ბურჯანაძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, და სხვ. თამარ ბურჯანაძეს კოლეგები ახასიათებენ როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნებით აღსავსე პიროვნებას.

აღსანიშნავია, რომ საჯარო გასაუბრებაზე დასმულ კითხვაზე, როგორ ესმის ანგარიშვალდებულება, კანდიდატმა უპასუხა, რომ მოსამართლე ანგარიშვალდებულია მხოლოდ კანონის წინაშე. ცხადია, მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედია, თუმცა დამოუკიდებლობა არ გამორიცხავს ანგარიშვალდებულებას, არამედ პირიქით, როგორც ინდივიდუალური მოსამართლე, ისე მთლიანად სასამართლო სისტემა ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე, უზრუნველყოს ის სამართლიანი, დამოუკიდებელი, სწრაფი და ხარისხიანი მართლმსაჯულებით.

თამარ ბურჯანაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, არ ერიცხება დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, თამარ ბურჯანაძეს ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, თამარ ბურჯანაძე პიროვნულად მტკიცე

და ურყევი, პრინციპული, ობიექტური, სამართლიანი და მედეგი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს კრიტიკული სიტუაციების მართვისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

თამარ ბურჯანაძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, თამარ ბურჯანაძე თავდაჭერილი, გაწონასწორებული, აკადემიური და მოკრძალებული პიროვნებაა. კოლეგების დახასიათებით, იგი გამოირჩევა კორექტულობითა და მშვიდი ხასიათით. მას შესწევს სტრესული და კრიტიკული სიტუაციების მართვის უნარი.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ თამარ ბურჯანაძის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს ადმინისტრაციულ საქმეში, თუმცა სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმისწარმოება შეწყდა.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, თამარ ბურჯანაძე სარგებლობს ღირსეული, კეთილსინდისიერი ადამიანის რეპუტაციითა და მაღალი პროფესიული ავტორიტეტით. კოლეგების თანახმად, თამარ ბურჯანაძეს აქვს საკმაოდ მჭიდრო საქმიანი კონტაქტები აკადემიურ წრეებთან.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება.

თამარ ბურჯანაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: კანდიდატმა საჯარო მოსმენისას ისაუბრა ცილისმწამებლურ ცნობებთან დაკავშირებით კერძო და საჯარო პირის უფლებების დაცვის სტანდარტსა და მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესზე, სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლილი საწარმოს ხელახალი რეგისტრაციის, სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის შესახებ და სხვ. კანდიდატმა იმსჯელა მხოლოდ ქალი პატიმრებისათვის მინიჭებულ საოჯახო პაემნის უფლების კონსტიტუციურობაზე, გამოთქვა ვარაუდი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მოცემულ დანაწესთან დაკავშირებით სქესის ნიშნით დისკრიმინაციას დაადგენდა. აღნიშნული მსჯელობა შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. კანდიდატმა ისაუბრა მისი პრაქტიკიდან კანონის ანალოგიის გამოყენების შემთხვევაზე, რაც უზენაესმა სასამართლომაც გაიზიარა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გამოვლინდა ხარვეზებიც: არ იყო დამაკმაყოფილებელი კანდიდატის პასუხი ევროპული კონვენციის პირველ მუხლთან, სახელმწიფო მმართველობის ფორმებთან, დაკავშირებით, კანდიდატი კარგად არ იცნობს ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, თამარ ბურჯანაძეს აქვს სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შეგროვების, განმარტების, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. კოლეგის შეფასებით, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა საკმაოდ მაღალია. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებზე მუშაობისას თამარ ბურჯანაძემ გამოავლინა სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა

საკითხების სიღრმისეული ცოდნა. ასევე, კანდიდატს შეეძლო ყურადღების მიქცევა როგორც საქმის პროცესუალურ მხარეზე, ასევე მოთხოვნათა დასაბუთებულობაზეც.

აღსანიშნავია, რომ თამარ ბურჯანაძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 83,1%-ს.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სამართლებრივ შეკითხვას კანდიდატმა სრული და ამომწურავი პასუხი გასცა, მისი მსჯელობა რიგ შემთხვევებში არ იყო დამაკმაყოფილებელი (მაგ., წინარე ხელშეკრულებისა და განზრახულობათა ოქმის სამართლებრივ ბუნებაზე, იურიდიული ფიქციისა და პრეზუმფციის მნიშვნელობაზე).

წერის უნარი: თამარ ბურჯანაძემ წარმოადგინა 2 სასამართლო გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ თამარ ბურჯანაძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი წერილობით ნათლად და კარგად გადმოსცემს აზრს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით თამარ ბურჯანაძე ავლენდა სამართლის სათანადო ცოდნას წერილობით დოკუმენტებზე მუშაობისას. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებების გარდა კანდიდატს არ წარმოუდგენია სხვა სახის სამართლებრივი ნაშრომი (სტატია, მონოგრაფია), რაც მომცემდა შესაძლებლობას უკეთ შემეფასებინა სამართლის წყაროებთან კანდიდატის მუშაობის კულტურა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა გამართულად და გაწონასწორებულად მეტყველების უნარი. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თამარ ბურჯანაძე სამართლებრივ დოკუმენტებთან მუშაობისას იჩენდა მეტ სითამამეს და გაბედულებას, ვიდრე ზეპირი კომუნიკაციისას. რეკომენდატორების შეფასებით, კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის, განსხვავებული აზრის მოსმენისა და სათანადოდ გათვალისწინების უნარი.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები თამარ ბურჯანაძეს ახასიათებენ

პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელსაც აქვს ანალიტიკური, დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სკოლაში სწავლის პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც თამარ ბურჯანაძეს გადაწყვეტილებების პროექტზე მუშაობისას გარკვეული ნიუანსები თვალთახედვიდან გამორჩებოდა, მაგრამ მითითების შემდეგ იდენტურ შეცდომას იშვიათად უშვებდა. აღნიშნული შეფასებიდან ჩანს, რომ კანდიდატმა სწავლის პროცესში გამოავლინა დაშვებული შეცდომების აღიარებისა და შენიშვნების გათვალისწინების უნარი, რაც მნიშვნელოვანი თვისებაა პროფესიული განვითარებისთვის.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, თამარ ბურჯანაძეს საანგარიშო პერიოდში (991 დღე) დასრულებული აქვს 256 საქმე, დღეში საშუალოდ 0.3 საქმემდე. თამარ ბურჯანაძის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 86,4%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, რაც მიუთითებს კანდიდატის პუნქტუალურობასა და მოწესრიგებულობაზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 20-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები ნასყიდობის საერთაშორისო ხელშეკრულებების, სასამართლოში მორიგების წარმოების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების, საბანკო დავების, სამეწარმეო სამართლის შესახებ და სხვ.

2005 წელს კანდიდატს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კლასის მრჩევლის საკლასო ჩინი.

თამარ ბურჯანაძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის I ჯგუფის მსმენელი (2009წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 81-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამასთან, თამარ ბურჯანაძეს აქვს მადლობის სიგელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის მიერ

ორგანიზებულ პროექტში: „იმიტირებული პროცესი სამოქალაქო სამართალში“ აქტიური მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. თამარ ბურჯანაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 77 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 16 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 15 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 16 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13 ქულა;
   2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 13 ქულა;
   2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 3 ქულა;
   2.7. პროფესიული აქტივობა - 1 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021